დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი „ბათუმის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სალომე ვორონოვი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

წევრები:

ია ფანცულაია , სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

თბილისი
2025

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	445434888
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ფრიდონ ხალვაშის ქ. N237, ბათუმი, საქართველო
ვებ-გვერდი	www.bauinternational.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	24.06.2021 N689586
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	24.06.2027

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[1]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	4
ბაკალავრიატი	-
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	2
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	4
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[2]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	9

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა	

[1] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[2] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	851	124	296
ბაკალავრიატი	-	-	-
მაგისტრატურა	0	0	0
ერთსაფეხურიანი	851	124	296
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	815	121	289
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	235
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	61
- პროფესორი	16
- ასოცირებული პროფესორი	9
- ასისტენტ პროფესორი	21
- ასისტენტი	15
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	49
- აფილირებული პროფესორი	12
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	6
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	19
- აფილირებული ასისტენტი	12
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	14
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	3
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	130
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	44

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5040 კვ. მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3360 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1680 კვ.მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:
ექსპერტებმა მონიტორინგის ფარგლებში შეაფასეს ინსტიტუცია მე-2,3,4,5,7 სტანდარტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. პროცესი წარიმართა ონლაინ რეჟიმში.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 18.11.2025</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>სტანდარტი 2.2
რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკა სტუდენტთა</td><td>რეკომენდაცია შესრულებულია</td></tr>
</table>

კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირებისთვის და გაამლიეროს უკუკავშირის მექანიზმების ეფექტურობა;	
სტანდარტი 2.2 რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს საჭირო მექანიზმები საგანმანათლებლო აქტივობების პედაგოგის მხრიდან გაცდენის პრენეციის მიზნით;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 2.3 რეკომენდირებულია უსდ-მ გაატაროს საჭირო ღონისძიებები ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებისთვის, ასევე, აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცებისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისთვის;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 3.3. რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს სამართლიანი და უსაფრთხო საგამოცდო პროცესი (სტუდენტთა განაწილება; დაკვირვება);	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 4.1 რეკომენდირებულია უსდ-მ განაახლოს აკადემიური პერსონალის აფილირების პოლიტიკა და დანერგოს აფილირების მეტად ხელშემწყობი მექანიზმები;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 4.2 რეკომენდირებულია ასისტენტებისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობის გადახედვა;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 4.2 რეკომენდირებულია კატეგორიების მიხედვით და მოწვეული პერსონალისთვის საკონტაქტო საათების გადახედვა;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 4.2 რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის (მათ შორის აფილირებული) რაოდენობის გაზრდა;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 5.1 რეკომენდირებულია უსდ-მ მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი;	**რეკომენდაცია შესრულებულია**

სტანდარტი 5.2 რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის ეფექტიანი მექანიზმები;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 7.2 რეკომენდირებულია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად საუნივერსიტეტო არეალში ბიბლიოთეკისთვის გამოიყოს მეტი ფართობი;	**რეკომენდაცია შესრულებულია**
სტანდარტი 7.3 რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს ციფრული საგანმანათლებლო სისტემების უსაფრთხოება და ბიზნესპროცესების უწყვეტობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა.	**რეკომენდაცია შესრულებულია**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ინსტიტუციამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და 60 დღის ვადაში აქტიურად იმუშავა მიღებული რეკომენდაციების შესასრულებლად. რეკომედაციები ეხებოდა ავტორიზაციის 2, 3, 4, 5, 7 სტანდარტებს-შესრულებულია ყველა რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირებისთვის და გააძლიეროს უკუკავშირის მექანიზმების ეფექტურობა;
2. რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს საჭირო მექანიზმები საგანმანათლებლო აქტივობების პედაგოგის მხრიდან გაცდენის პრენეციის მიზნით;
3. რეკომენდირებულია უსდ-მ გაატაროს საჭირო ღონისძიებები ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებისთვის, ასევე, აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცებისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისთვის;
4. რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს სამართლიანი და უსაფრთხო საგამოცდო პროცესი (სტუდენტთა განაწილება; დაკვირვება);
5. რეკომენდირებულია უსდ-მ განაახლოს აკადემიური პერსონალის აფილირების პოლიტიკა და დანერგოს აფილირების მეტად ხელშემწყობი მექანიზმები;
6. რეკომენდირებულია ასისტენტებისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობის გადახედვა;

7. რეკომენდირებულია კატეგორიების მიხედვით და მოწვეული პერსონალისთვის საკონტაქტო საათების გადახედვა;
8. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის (მათ შორის აფილირებული) რაოდენობის
   გაზრდა;
9. რეკომენდირებულია უსდ-მ მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი;
10. რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის ეფექტიანი მექანიზმები;
11. რეკომენდირებულია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად საუნივერსიტეტო არეალში
    ბიბლიოთეკისთვის გამოიყოს მეტი ფართობი;
12. რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს ციფრული საგანმანათლებლო სისტემების უსაფრთხოება და ბიზნესპროცესების უწყვეტობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამი	ნაწილობრივ შესაბამი	არ შეესაბამება
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐

3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა (არ შფასებულა)	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები (არ შეფასებულა)	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სალომე ვორონოვი (თავმჯდომარე)
2. ია ფანცულაია (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

2.უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: *რეკომენდაცია: რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირებისთვის და გააძლიეროს უკუკავშირის მექანიზმების ეფექტურობა;*

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და შესაბამის პროცედურებში ასახა შესაბამისი ცვლილებები.

ბაუ ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს ინსტიტუციურ, სასწავლო პერსონალისა და სასწავლო კურსების მიმართულებით. ინსტიტუცია დაინტერესებულ მხარეებს ყოველსემესტრულად აწვდის გამოკითხვის შედეგებს რეაგირებისათვის. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ყოველწლურ ანგარიშს, სადაც ასევე ასახულია სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მათი გაზიარების შესახებ ინფორმაცია.

უკუკავშირის მექანიზმის გაძლიერებისთვის ინსტიტუციამ შეიმუშავა განახორციელებს შემდეგი ეფექტური მექანიზმები:

- სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით მიაწოდონ ინფორმაცია მათი უკუკავშირის გაცნობისა და ადეკვატური რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე განათავსონ დეტალური ანგარიში დაინტერესებული ყველა მხარისათვის, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება ნახონ რომელი უკუკავშირი გაიზიარა უნივერსიტეტმა.
- აკადემიურ საბჭოს განახლებულ დებულებაში დაემატა ახალი მუხლი (მუხლი 4.1."დ"), რითაც განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშის მოსმენა, და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა იმპლემენტაციას უნივერსიტეტის საორგანიზაციო პროცესებში შემდგომ უნივერსიტეტის მმართველი გუნდი განახორციელებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და საბჭოს წევრებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ აღნიშნული ცვლილების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში და აკადემიური საბჭოს რეგულაციებში უკვე ეცნობა ყველა დაინტერესებულ მხარეს.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს საჭირო მექანიზმები საგანმანათლებლო აქტივობების პედაგოგის მხრიდან გაცდენის პრევენციის მიზნით;

წარმოდგენილი ინფორმაციით და ინტერვიუს შედეგებით ჩანს რომ ინსტიტუციამ გაითავლისწინა მიღებული რეკომენდაცის. უნივერსიტეტში დანერგილია BAU Pass სისტემა, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის და საგანმანათლებლო აქტივობის მონიტორინგისთვის. ეს სისტემა ითვალისწინებს აკადემიური, მოწვეული თუ ადმინისტრაციული პერსონალის მიერ, საკუთარი სამსახურებრივი ანგარიშის პარამეტრების გამოყენებით მობილურ მოწყობილობაზე ერთჯერადი QR კოდის გენერირებასა და უნივერსიტეტის შესასვლელში (ადმინისტრაციული პერსონალისათვის) ან სასწავლო ოთახის შესასვლელში (აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის) განთავსებული მოწყობილობის მიერ მის იდენტიფიცირებას.

BAU Pass-ის უზრუნველყოფს ლექციებისა და სემინარების აღრიცხვას, ხოლო გენერირებული მონაცემების ანალიზი საშუალებას აძლევს ინსტიტუციას განახორციელოს გაცდენების მონიტორინგი.

BAU Pass ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში განთავსებულ სასწავლო ცხრილთან, რაც უზრუნველყოფს შესაბამის დროსა და სივრცეში შესაბამისი პერსონალის ზუსტ იდენტიფიცირებას და აკადემიური დატვირთვის შესრულების ხარისხიან მონიტორინგს, რაც ქმნის მკაფიო და სანდო მექანიზმს სასწავლო პროცედურების კონტროლისთვის და ხელს უწყობს ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაციასთან მიმართებით ინსტიტუციამ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად დამატებით მარეგულირებელი ცვლილება შემოიღო- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებში დაამატეს სასწავლო პროცესის უწყვეტი განხორციელების პერიოდული მონიტორინგი და მის შესახებ ანგარიშგება; გაცდენის მიზეზების კვლევა და ხელახალი მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიმატა ერთი ახალი სპეციალისტი დეპარტამენტში, რომლის ჩართულობითაც ხორციელდება დამატებითი მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასვე უწევს მონიტორინგს BAU Pass ანგარიშებს, რომელსაც აწვდის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელშიც ასახული იქნება სასწავლო პერსონალის მიერ ლექციაზე შესვლისა და გამოსვლის დროები. ინსტიტუციამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში და უნივერსიტეტის შინაგანაწესში დამატებით განსაზღვრა, რომ პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიცემა, მათ შორის BAU Pass-ის მონაცემებით შესრულებული საათების დადასტურების შემთხვევაში.
აღნიშნული ცვლილებები ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული პოლიტიკა (მუხლი V გვ.42-43)
- აკადემიური საბჭოს განახლებული დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განახლებული პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- BAU Pass ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია უსდ-მ გაატაროს საჭირო ღონისძიებები ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებისთვის, ასევე, აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცებისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისთვის

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით მიხედვით უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და განავითარა რიგი ღონისძებები, თავის პოლიტიკებში ასახული ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმების დაცვისა და ამაღლების პროცედურების მეტად ეფექტურად, გამჭვირვალედ, და პირთა უფრო ფართო წრის მიმართ რეალიზებისთვის. კერძოდ: სტუდენტური სტატუსის დებულებას დაუმატეს ჩანაწერი, უნივერსიტეტიდან ცნობა-დახასიათების (ე.წ. good character certificate) მიღების პროცესის რეგლამენტაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიღება აქამდე რეგულაციებით არ იყო რეგლამენტირებული და უცხოელ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა იღებდა მას. ცვლილებების შესაბამისად, სტუდენტი, რომელიც შემჩნეულია სტუდენტისთვის დაუშვებელი ქცევის ჩადენისთვის გაფრთხილებული იქნება, ხოლო განმეორების შემთხვევაში - ჩამოერთმევა აღნიშნული დოკუმენტის მიღების უფლება. აღნიშნული პროცედურები ასახულია სტუდენტთა სტატუსის და მობილობის შესახებ რეგულაციაში და სტუდენტური ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსებში.

სტუდენტური ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსში დამატებით დაზუსტდა და დაკონკრეტდა სტუდენტური ომბუცმენის და ეთიკის კომისიის უფლებები, მათ შორის ეთიკურ საკითხებზე პროაქტიული საინფორმაციო კამპანიებისა და განზოგადებული რეკომენდაციების წარმოდგენის თვალსაზრისით.

ინსტიტუციამ დაგეგმა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელთა ტრენინგების სერია ეთიკისა და უფლებების რეალიზების ხელშეწყობის თაობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

ინსტიტუციამ დააზუსტა აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, რომლებსაც დაემატა ხელოვნური ინტელექტის და გენერაციული ტექსტის მოდელების აკადემიურ პროცესში გამოყენების დაშვებული და დაუშვებელი შემთხვევების რეგლამენტირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტის სტატუსისა და მობილობის დებულება • სტუდენტთა ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსი • სტუდენტთა აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს სამართლიანი და უსაფრთხო საგამოცდო პროცესი (სტუდენტთა განაწილება; დაკვირვება)

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და სამართლიანი და უსაფრთხო საგამოცდო გარემოს უზრუნველსაყოფად, შეცვალა გამოცდის პროცესში დაკვირვების წესი. შესაბამისად პედაგოგები გამოცდას აღარ ესწრებიან. გამოცდას ესწრება მხოლოდ დამოუკიდებელი, საგამოცდო პროცესისთვის სპეციალურად დანიშნული პირი, ან საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი, რომლის მთავარი ფუნქციაა გამოცდაზე წესრიგის დაცვა.

ამ ცვლილებამ უზრუნველყო

- სამართლიანობის გაზრდა – რადგან აღარ ხდება სტუდენტისა და პედაგოგის პირდაპირი კონტაქტი გამოცდის მიმდინარეობისას;
- ხმაურისა და გაუგებრობების თავიდან აცილება – სტუდენტებს აღარ ეძლევათ შესაძლებლობა მიმართონ პედაგოგს დამატებითი შეკითხვებით, რითაც მინიმუმამდეა დაყვანილი კომუნიკაციის საფუძველზე შექმნილი ხმაური;
- გამჭვირვალობისა და ნეიტრალობის გარანტია – დამკვირვებელი პირი დამოუკიდებელია და მისი მიზანია მხოლოდ პროცედურული წესების დაცვა.

ასევე საგამოცდო პროცესის ხარვეზების გარეშე წარმართვის მიზნით, უნივერსიტეტში აღარ ხდება საგამოცდო ტესტების დაბეჭდვა.

საგამოცდო ტესტების ბეჭდვისა და ფიზიკური ფორმით გამოყენების გაუქმება ადასტირებს, რომ გაიზარდა საგამოცდო პროცესის ეფექტიანობა და უსაფრთხოება. კერძოდ: მოხდა ტექნიკური შეცდომების აღმოფხვრა – ბეჭდვისა და ტესტების შეკვრის პროცესში ხშირად იჩენდა თავს ტექნიკური ხარვეზები (გვერდების დაკარგვა, არასწორად დაბეჭდვა, ბუკლეტის ტიპის არევა, შეკვრისას გადანაცვლება და სხვ.), რაც სტუდენტს უქმნიდა უსამართლო გარემოს. კომპიუტერზე ტესტის წაკითხვა სრულად გამორიცხავს ამ ტიპის რისკებს. გაიზარდა უსაფრთხოება – ბეჭდვისას ტესტების შინაარსის გაჟონვის რისკი უფრო მაღალია. ელექტრონული ფორმით გამოყენება ამცირებს ამ რისკს და იცავს საგამოცდო მასალების კონფიდენციალურობას. სამართლიანობის უზრუნველყოფა – ყველა სტუდენტი ერთნაირ პირობებში, ეკრანზე ერთნაირი ხარისხის ტექსტით მუშაობს.

ელექტრონულ ფორმატზე გადასვლით დასტურდება რომ უნივერსიტეტმა გამოცდების ჩატარების უფრო სანდო და სტუდენტისთვის ხელსაყრელი სისტემა განავითარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გამოცდების ჩატარების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: *რეკომენდაცია: რეკომენდირებულია უსდ-მ განაახლოს აკადემიური პერსონალის აფილირების პოლიტიკა და დანერგოს აფილირების მეტად ხელშემწყობი მექანიზმები* წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს მიხედვით უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და შეცვალა აკადემიური პერსონალის აფილირების მართვის სისტემა, რაც აისახა უნივერსიტეტის მიერ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებში. კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ დაკორექტირდა აფილირების აკადემიური პერსონალის აფილირების წესით, რომელიც ემყარება გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის პრინციპებს. განახლებულ წესებში მკაფიოდ განისაზღვრა: 1. კატეგორიების მიხედვით

დატვირთვის განაწილების პრიორიტეტები (A კატეგორიის უპირატესობა); 2. აფილირებული პერსონალის უპირატესობა არააფილირებულთან და მოწვეულთან შედარებით; 3. სამეცნიერო საქმიანობისთვის ანაზღაურების წესი როგორც A, ასევე B კატეგორიებისათვის.

განახლებული პოლიტიკა უზრუნველყოფს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას, მათ შორის სამეცნიერო პროექტების განხორციელების დაფინანსებას; პუბლიკაციის ღია წვდომის საფასურის დაფინანსებას რანჟირების მიხედვით (Q1 – 100%, Q2 – 75%, სხვა – 50%); კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას და სხვა ბენეფიტებს. აღსანიშნავია, რომ აფილირებულ პერსონალს აქვს ექსკლუზიური უფლება სამეცნიერო პროექტების დაფინანსების მოთხოვნაზე, რაც ქმნის დამატებით მოტივაციას უნივერსიტეტთან აფილირებისათვის.

აფილირების განახლებული სისტემის შედეგიანობა დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემებით. კერძოდ: აფილირებული პერსონალის რაოდენობა 25–დან 47-მდეა გაზრდილი, რაც დაახლოებით 50%-იან ზრდას წარმოადგენს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციები და გააძლიერა აფილირების მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი
- აფილირების შეთანხმება;
- 2025-2026 წლის აკადემიური დატვირთვა აკადემიური პერსონალი;
- 2025-2026 წლის აკადემიური დატვირთვა მოწვეულიი პერსონალი
- ინტერვიუს შედეგები
- ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **რეკომენდირებულია ასისტენტებისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობის გადახედვა;** **რეკომენდირებულია კატეგორიების მიხედვით და მოწვეული პერსონალისთვის საკონტაქტო საათების გადახედვა;** **რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის (მათ შორის აფილირებული) რაოდენობის გაზრდა;** ექსპერტთა ჯგუფმა გამოიკვლია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ადამიანური რესურსების მართვის წესები, 2025–2026 წლის აკადემიური დატვირთვის ცხრილები და ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადად ასახავს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა პანელის რეკომენდაციები და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მართვის სისტემა. უნივერსიტეტში ჩატარებული ორი აკადემიური კონკურსის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და ამჟამად უნივერსიტეტში არის 61 აკადემიურ პერსონალი (პროფესორი - 16, ასოცირებული პროფესორი - 9, ასისტენტ-პროფესორი - 21, ასისტენტი - 15. აფილირებული პროფესორი - 13, ასოცირებული პროფესორი - 7, ასისტენტ პროფესორი - 17, ასისტენტი 12). განახლებული აკადემიური დატვირთვის წესით მკაფიოდაა განსაზღვრული A კატეგორიის, აფილირებული და მუდმივი აკადემიური პერსონალის პრიორიტეტი დატვირთვის განაწილებისას (იხ. 4.1), რაც უზრუნველყოფს სისტემის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და პროგნოზირებადობას. უნივერსიტეტმა რეალურად განახორციელა ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა შტატის ზემოთ დატვირთვის მაღალი მაჩვენებლების შემცირებას. წარსულში არსებული გადაჭარბებული საათები, რომელიც ზოგ შემთხვევაში 400–600 საათი იყო, ახალი რეგულაციებით გადამოწმებულია და 2025–2026 სასწავლო წლის დაგეგმვისას A კატეგორიის პერსონალის შტატის ზემოთ დატვირთვა არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება 50%-იან ზღვარს, ხოლო ასისტენტების შემთხვევაში დამატებითი საათები მინიმუმამდეა დაყვანილი. B და C კატეგორიებისთვის ასევე დაცულია ზღვრული ნორმები (50% და 30%), რაც მიუთითებს სისტემური ცვლილების განხორციელებაზე. მნიშვნელოვანი წინსვლა ფიქსირდება მოწვეული პერსონალის დატვირთვის რეგულირების მიმართულებითაც. წინა წლებში მათი დატვირთვა ხშირად აღემატებოდა შტატიანი აკადემიური პერსონალის ნორმებს, თუმცა ახალი წესით მოწვეული პერსონალის დატვირთვა მკაცრად განისაზღვრა A კატეგორიის დატვირთვის 25%-ით. წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს, რომ მოწვეული პერსონალის დატვირთვა

სრულ შესაბამისობაშია ახალ წესებთან და არსებულ ნორმებს აღარ აჭარბებს. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის მდგრადობას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და წინა წლებში არსებული რისკების შესუსტებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური კონკურსის ბრძანებები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი; • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; • სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი • 2023-2024 წლის აკადემიური პერსონალის დატვირთვა; • 2025-2026 წლის აკადემიური დატვირთვა აკადემიური პერსონალი; • 2025-2026 წლის აკადემიური დატვირთვა მოწვეულიი პერსონალი • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი (ძველი); • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი (ახალი); • ინტერვიუს შედეგები; • აკადემიური კონკურსის ბრძანებები • ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ

ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **რეკომენდირებულია უსდ-მ მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი;** წარმოდგენილი მასალის ანალიზის და ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციები და განახორციელა ყველა საჭირო ცვლილება სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისაბომაში მოსაყვანად. უნივერსიტეტის მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულებაში, რომლის მიხედვითაც ზუსტად განისაზღვრა ის პროცედურები, რომლებიც ეხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვას. უნივერსიტეტმა მკაფიოდ დაარეგულირა ფინანსური ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულებების გამჭვირვალობასა და სამართლებრივ საფუძველს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანი აპლიკანტების საკითხს: განისაზღვრა მშობლის ან კანონიერად პასუხისმგებელი პირის სავალდებულო ხელმოწერა, ასევე – წერილობითი თანხმობა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული ცვლილებები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს არასრულწლოვანი სტუდენტების დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულება; • პირობითი მიღების წერილის ფორმა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის ეფექტიანი მექანიზმები;

წარმოდგენილი ინფორმაციის და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და გააძლიერა სტუდენტთა ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სისტემა.

ამ მიზნით უნივერსიტეტში ამოქმედდა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი, რომლის საქმიანობაც მოიცავს ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრებისა და ჯგუფური სესიების ორგანიზებას. სერვისი მიზნად ისახავს სტუდენტთა პირადი, აკადემიური და სოციალური სირთულეების იდენტიფიცირებასა და მათზე ადეკვატურ რეაგირებას, რაც მნიშვნელოვნია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა ჯგუფური შეხვედრების ჩატარება, რომლებიც მოიცავდა სტრესის მართვის, აკადემიური მოტივაციის გაძლიერებისა და სტუდენტთა ადაპტაციის პროცესის მხარდაჭერას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების საჭიროებები და დაიწყო ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ: სტიპენდიების, შეღავათებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია ფსიქოლოგთან გამართული საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია სტრესის მართვის, მოტივაციის შენარჩუნებისა და სოციალური ადაპტაციის ეფექტიანი მეთოდების შესახებ. უნივერსიტეტი გეგმავს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური სესიების სისტემურ გაგრძელებას და საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა გადამისამართებას სპეციალიზებულ სერვისებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • https://www.bauinternational.edu.ge/ge/page/34 • ფსიქოლოგთან შეხვედრა: https://bauinternational.edu.ge/ge/news/702 • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ***რეკომენდაცია: რეკომენდირებულია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად საუნივერსიტეტო არეალში ბიბლიოთეკისთვის გამოიყოს მეტი ფართობი;*** წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს მიხედვით უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და განხორციელა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურული გაფაროება, რომლის შედეგად ბიბლიოთეკას დაემატასამუშაო და სასწავლო სივრცეები, ცალკე წიგნთსაცავი და თავისუფალი სივრცე. ეს სივრცეები აღიჭურვეს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის „სმარტ ბორდებით“, კომპიუტერებით და შესაბამისი ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ სასწავლო გარემოს. ამჟამად ბაუ-ს აქვს 4 იზოლირებული სივრცე ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობებისთვის გათვლილი -100 კვ.მ ფართობის, გადაკეთებულია სტუდენტთა თავისუფალ და იზოლირებულ სამკითხველო ზონად თითოეულ სივრცეში შესაძლებელია მინიმუმ 12 სტუდენტის განთავსება. უზრუნველყვეს დამატებითი რესურსები: - 5 ცალკეული სამუშაო მაგიდა სკამებით - 10 კომპიუტერი 10 სამუშაო მაგიდით. მოაწყვეს წიგნთსაცავი დამხმარე კამპუსში, რომელიც სრულად ათვისებულია წიგნადი საცავით,სტუდენტებს შეუძლიათ სახელმძღვანელოების შერჩევა, გატანა და დაბრუნება. კომპიუტერული და სასწავლო სივრცე მოაწყვეს ასევე ახალ კამპუსში-აღჭურვილობა: 10 კომპიუტერი, 1 სმარტ ბორდი • სამუშაო ადგილები: 40 სკამი, 17 დიდი ზომის მაგიდა

(თითოეული განკუთვნილია 2 სტუდენტისთვის) • დანიშნულება: კომპიუტერული და სასწავლო რესურსებით სარგებლობა.

ჯამში, ბიბლიოთეკის საერთო ფართი გამოვიდა ა400 კვ.მ, რაც მოიცავს ინდივიდუალურ, ჯგუფურ, კომპიუტერულ და სმარტ ბორდებით აღჭურვილ სივრცეებს. აღნიშნული ცვლილებები დასტურებს რომ ინსტიტუციამ იზრუნა ეფექტური სასწავლო გარემოს, სტუდენტებისა და თანამშრომლების კომფორტულ პირობების უზრუნველყოფაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინვოისები
- ფოტოსურათები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს ციფრული საგანმანათლებლო სისტემების უსაფრთხოება და ბიზნესპროცესების უწყვეტობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების და ინტერვიუს შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციამ სრულად გაითავლისწინა ექსერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია. მათთან

მონიტორინგის ვიზიტისას არსებული სისტემები ვერ პასუხობდა თანამედროვე ტექნოლოგიურ სტანდარტებსა და უნივერსიტეტის მზარდ საჭიროებებს; საჭირო იყო უფრო გამართული, ფუნქციური და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული პლატფორმის დანერგვა. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად უნივერსიტეტმა მიიღო შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები., რომლითაც უზრუნველყო ელექტრონულ ფორმით არსებული ინფორმაციის უსაფრთხოება. სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული პორტალი შეიცვალა და სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გადაიტანეს ახალ ელექტრონულ პორტალზე ois.bauinternational.edu.ge. ეს ადასტურებს რომ ინსტიტუციამ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვა გადაიყვანა ახალ, დაცულ და თანამედროვე პლატფორმაზე,რის შედეგადაც შემცირდა კიბერუსაფრთხოების რისკები მინიმუმანდე, გაიზარდა ინფორმაციის კონფიდენციალობა, გაძლიერდა უსაფრთხოების მექანიზმები ხელმისაწვდომობა და სანდოობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკა • ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა • https://ois.bauinternational.edu.ge/auth/login • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.

○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	მედიცინა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	N.58 2020 წლის 27 მარტი
2	სტომატოლოგია	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	2022 წლის 1 თებერვალი
3	განათლების ადმინისტრირება	ქართული	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	2025 წლის 2 სექტემბერი

4	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა	ქართული	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი	120	აკრედიტებული	2025 წლის 22 სექტემბერი